აუდიტორული დასკვნა

ს სიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა საზანოს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მდებარე შენობების: მასწავლებელთა სახლის, ძველი სპორტული დრბაზის, საქვაბის სადემონტაჟო სამუშაოების და მიღებული მეორადი მასალების შეფასების შესახებ

ქუთაისი
2018 წელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
GEORGIA

შპს „აუდიტ-სერვის-ცენტრი“
ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №29
ტელ: 25-00-76; მობ: 577 47-39-10

AUDIT-SERVICE-CENTRE“ LTD
№29 Newport str., Kutaisi
Tel: 25-00-76; Mob: 577 47-39-10

„17“ ივლისი 2018 წელი

ლიცენზია №ზ154

№02/158

აუდიტორული დასკვნა

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა საზანოს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მდებარე შენობების: მასწავლებელთა სახლის, ძველი სპორტული დრბაზის, საქვაბის სადემონტაჟო სამუშაოების და მიღებული მეორადი მასალების შეფასების შესახებ

აუდიტორული ფირმა „აუდიტ-სერვის-ცენტრი"-ს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მინიჭებული აუდიტორული ფირმის ინდივიდულური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F–925102 ; აუდიტორმა და ექსპერტმა - ვახტანგი ბაჯაძემ. ინდივიდულალური სარეგიტრაციო ნომერი – SARAS-A_998554;

შპს „აუდიტ-სერვის-ცენტრს" და სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა საზანოს საჯარო სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება № 01/65-ის (16.07.2018წ.) საფუძველზე შევაფასე საზანოს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მდებარე ძველი შენობების: მასწავლებელთა სახლის, ძველი სპორტული დრბაზის, საქვაბის სადემონტაჟო სამუშაოები და მიღებული მეორადი მასალები.

1. სადემონტაჟო ობიექტების დახასიათება

1.1 მასწავლებელთა სახლი აშენებულია 1968 წელს, ერთ-სართულიანი, კაპიტალური.საერთო ფართი 124კვ.მ. H=3,8მ სახურავი ჩამოქცეული. დარჩენილია მხოლოდ აგურით ნაშენები კედლები. სრულიად ამორტიზირებული.

1.2 ძველი სპორტული დარბაზი. აშენებულია 1971 წელს ერთსართულიანი, კაპიტალური, საერთო ფართი 240 კვ.მ. H=6მ კედლები აგურის (40სმ) გადახურვა – რკ/ბეტონის გადახურვის

პიკაჟეით. პიკაჟების ნაწილი მეორადი გამოყენებისათვის უვარგისია. ამორტიზირებული.

1.3 საქვაბე აშენებულია 1991 წელს. ერთსარულიანი კაპიტალური. საერთო ფართი 74 კვ.მ. H=3,5მ კედლები აშენებულია აგურით (40სმ), გადახურვა- რკ/ბეტონის გადახურვის პიკაჟებით. პიკაჟების ნაწილი მეორადი გამოყენებისათვის უვარგისია. ამორტიზირებული.

აღნიშნული შენობები მოსწავლეთათვის საფრთხის შემცველია. აღდგენა არარენტაბელურია და ექვემდებარება დემონტაჟს.

2. სადემონტაჟო სამუშაოები და რიგითობრიობა

სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

I რიგი – მოსამზადებელი სამუშაოები
II რიგი – დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:
ა) დროებითი ღობის მოწყობა.
ბ) დროებითი ნაგებობის მოწყობა.
გ)სახიფათო ზონების შემოღობვა, ამკრძალავი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა.
დ) დროებითი სასაწყობო მოედნის მომზადება.

3. სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება შემდეგ ეტაპად:

I ეტაპი – გადახურვის რკ/ბეტონის პიკაჟების დემონტაჟი.
II ეტაპი – I სართულის ელემენტების დემონტაჟი.
III ეტაპი – საძირკვლების დემონტაჟი.

სადემონტაჟო სამუშაოები წარმოებს „ზემოდან ქვემოთ" „სახურავიდან საძირკვლების ჩათვლით" ელემენტური დაშლისა და გამსხვილებული ბლოკით დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი წარმოებს:

ა)გადახურვის კონსტრუქციების დემონტაჟი.
ბ)ბლოკისა და აგურის მზიდი კედლების დემონტაჟი.

სახურავის და საქვაბეზე არსებული - 400მმ-იანი 12მ. მილის დემონტაჟი ხორციელდება საავტომობილო ამწეთი, ტვირთამწეობა 8ტნ. კედლების დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით.
საძირკვლების დემონტაჟის შემდეგ წარმოშობილი ტრანში უნდა შეივსოს გრუნტით.

საჭირო მუშები, მანქანა-მექნიზმები, ტრანსპორტი
და მათი შეფასება:

1) საავტომობილო ამწე 8ტნ. ტვირთამწეობით საჭიროა 1 დღე.
მომსახურეობის ღირებულება 300 ლარი.
2) ექსკავატორი „უკუჩამჩა" ტევადობით 0,5მ^3 საჭიროა 3 დღე.
მომსახურეობის ღირებულება 480 ლარი.
3)ავტოთვითმცლელი – საჭიროა 2 დღე.
მომსახურების ღირებულება 500 ლარი.
4)მოძრავი კომპრესორი 1ც.
მომსახურების ღირებულება 200 ლარი.

მცირე მექანიზმის საშუალებები და ინვენტარი:

პნევმატური სანგრევი ჩაქუჩი – 1ც. იჯარით აღება 100 ლარი.
ელექტრო სანგრევი ჩაქუჩი 1ც. – 100 ლარი.
ინვენტარული ხარაჩოები 50მ^2 –100 ლარი.
მუშა – 60 კაც/დღე – 1500 ლარი

ამრიგად, სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. საზანოს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობების სრული დემონტაჟისათვის შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 3280 (სამიათასორასოთხმოცი) ლარით.
მათ შორის: მასწავლებელთა სახლზე 600 ლარი.
სპორტულ დარბაზზე 1800 ლარით.
საქვაბეზე – 880 ლარით.

გაანგარიშებით მიიღება მეორადი მასალები:

მასწავვლებელთა სახლიდან:

ა) ბლოკი – 200ც. ღირებულებით 200 ლარი.
ბ) აგური – 750ც. ღირებულევით 150ლ.

სპორტული დარბაზიდან:

ა) გადახურვის პიკაჟი 7ც. – 700ლ.
ბ) ბლოკი 150ც. – 150ლ.
გ) აგური 3000. – 600ლ.

საქვაბედან:

ა) აგური 1000ც. ღირებულებით 200 ლარი.
ბ) ჯართი 2,5 ტნ. ღირებულებით 1000 ლარი.
გ) გადახურვის პიკაჟები 4ც. ღირებულებით 400 ლარი.

სულ მეორადი მასალების ღირებულება 3400 ლარი.

შენიშვნა: თან ერთვის ფოტოილუსტრაცია 15 გვ.

შპს „აუდიტ-სერვის-ცენტრი"-ს
დირექტორი: /ვ.ბაჯაძე/